ხელშეკრულება №178 (02)
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (461/05)
(გამარტივებული შესყიდვა)
SMP170003121

ქ. თბილისი „26" „ივნისი" 2018 წ.

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (მისამართი: ქ. თბილისი, ინოვაციების ქუჩა 7, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, სკ-204582521), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი მისი **თავმჯდომარის მ.შ ავთანდილ კასრაძის** სახით **და შპს ვირექს იმერსივ** (**მისამართი:** ქ. თბილისი, ბამბის რიგის ქუჩა #7; საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი" ანგ. GE48TB7752236020100003, ბანკის კოდი: TBCBGE22, ს/კ: 400187070) წარმოდგენილი **დირექტორის ნიკოლოზ გოგოჭურის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 იანვრის №14 განკარგულების** თანახმად, ვდებთ წინამდებარე **ხელშეკრულებას შემდეგზე:**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმდინარე წლის. ივლისი-ოქტომბრის თვეში, საქართველოს 10 ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი, თბილისი, ახალციხე, ოზურგეთი, თიანეთი, ბაღდათი, ხარაგაული, მესტია) წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე ჰაკათონის - „ტურიზმის განვითარებისათვის" მომსახურების შესყიდვა, „დანართი #1"-ის შესაბამისად.

(CPV-80530000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **36 580 (ოცდათექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცი)** ლარს. აქედან **12 000 (თორმეტი) ლარი** გაიცემა ავანსის სახით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მომსახურების გაწევა, 2018 წლის ივლისი-ოქტომბრის თვეში. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინოვაციების #7 - ტექნოლოგიური პარკი.**

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებაში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს <u>სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტი - მარიამ შარანგია.</u>

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება შემდეგ სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ავანსის სახით (12000 (თორმეტი)) ლარი) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 16 ივლისისა, ხოლო დარჩენილი თანხა მომსახურების გაწევის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი

მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-**ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

16.1 მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი გაამჟღავნოს, გაასაჯაროოს, გადასცეს მესამე პირებს ან გამოიყენოს პირადად ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, ასევე ინფორმაცია, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით ან შემსყიდველის მითითებით შეიძლება წარმოადგენდეს კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში და ხელშეკრულების შესრულების მიზნით შექმნილ ნებისმიერ შედეგზე საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის შემსყიდველს.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს. "

17.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ №-178 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

თავმჯდომარის მ.შ ავთანდილ კასრაძე

სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის
სპეციალისტი მარიამ შარანგია

პროექტის სახელწოდება:	**ჰაკათონი ტურიზმის განვითარებისთვის**
პროექტის მიზნები:	1. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 2. ინფორმაციული და ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის პროფესიული განვითარებისა და რეალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობის შექმნა
ამოცანები:	პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ზოგადად ტექნოლოგიური აპლიკაციების ინდუსტრიის სარგებლიანი გამოყენების განვითარებას და საქართველოში საზოგადოებრივი სიკეთის შექმნის და კონკრეტულად ტურიზმის განვითარების სამსახურში ჩაყენებას არაფორმალური საქმიანობის და შედეგის (პროდუქტის) მიღებაზე ორიენტირებული კონკურსების განხორციელების გზით. აღნიშნული მიზნების შესასრულებლად ჩვენ წინაშე ვსახავთ შემდეგ ამოცანებს: - მსოფლიოში და საქართველოში ჰაკათონების და მსგავსი ღონისძიებების ორგანიზების არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაცნობა/გათვალისწინება; - შევქმნათ ინფორმაციულ ტექნოლოგიური პროდუქტის წარმოების დარგში არაფორმალური განათლების და პრაქტიკული გამოცდილების მიღების დამატებითი შესაძლებლობა; - ინფორმაციულ ტექნოლოგიური პროდუქტის წარმოების დარგში თვითრეალიზაციის ღია შესაძლებლობის შექმნა; - მოვახდინოთ მობილური აპლიკაციების პროტოტიპირების და დაბალანსების დაგეგმვის უნარების განვითარების სტიმულირება ახალგაზრდა დარგით დაინტერესებულ მეწარმეებში; - ახალგაზრდა მეწარმეებისგან ინიცირებული იდეების და პროექტების მთავრობის თუ ბიზნესის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდაში გამოყენება/ათვისება. - ახალგაზრდობის ფართო მასებიდან ინფორმაციულ ტექნოლოგიური აპლიკაციების შექმნის ცოდნით და უნარების მქონე პირთა პროექტში ჩართვა; - ტურიზმის განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევევის იდენტიფიცირება; - პროექტის მიზნების წარმატებით შესრულებისთვის შესაბამისი პარტნიორების მოძება; - პროექტის განხორციელების ტერიტორიული ბაზების ეფექტიანად შერჩევა და მომზადება; - პროექტის მსვლელობაში დარგის პროფესიონალების ჩართვა; - შეფასების და დანერგვის ეფექტიანი ფორმების შემუშავება; - შექმნილი აპლიკაციების მონეტიზაციისა და შემდგომი მდგრადობის მექანიზმების შექმნის სტიმულირება;
პროექტის ბენეფიციარები:	პროექტს ეყოლება რამოდენიმე ტიპის ბენეფიციარი: 1. პირდაპირი (პირები რომლებიც მიიღებენ პროექტის ფარგლებში მოწყობილ კონკურსში მონაწილეობას) – ყველაზე ცოტა 250 14-დან 26 წლამდე ასაკის ახალგაზრდა; 2. ირიბი (პირები რომლების მიიღებენ სარგებელს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინფორმაციულ ტექნოლოგიური პროდუქტის ფუნქციონირების შედეგად) დაახლ. 3 800 000 საქართველოს მოქალაქე
პროექტის დასაბუთება:	ტექნოლოგიური აპლიკაციების ბიზნეს ინდუსტრია ყველაზე დიდი და სწრაფად მზარდია თანამედროვე მსოფლიოში. შესაბამისად, უფრო და უფრო მეტი სამუშაო ადგილები ჩნდება მობილური და სხვა აპლიკაციების შემქმნელთათვის და მატულობს საზოგადოების ინტერესი

აპლიკაციების შექმნის შესწავლისა და სფეროში დასაქმების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ცივილიზებული მთავრობები სულ უფრო და უფრო მეტად იყენებს მობილურ აპლიკაციებს საჯარო მმართველობის ეფექტიანად განხორციელებისთვის. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ გეგმაში „საქართველო 2020" მკაფიოდაა განსაზღვრული სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესი და პრიორიტეტი ინოვაციური ინფორმაციულ-ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებისა და ტურიზმის როგორც სტრატეგიული დარგის მიმართ.

დღეისათვის საქართველოში პერიოდულად ტარდება ტექნოლოგიური აპლიკაციების შექმნის კონკურსები საერთაშორისო ფორმატით - ჰაკათონი. ჰაკათონების ჩატარებას საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ და ეს კონკურსები წარმატებით ტარდება სხვადასხვა ორგანიზატორების მიერ. ორგანიზატორები უმეტეს შემთხვევაში არიან სტუდენტური საინიციატივო ჯგუფები ან/და კერძო კომპანიის წარმომადგენლები. ამ ჰაკათონების მასშტაბი უმეტეს შემთხვევაში შემოფარგლულია საუნივერსიტეტო სივრცით და ლოკალურ მასშტაბს ვერ ცდება. აქამდე არასდროს ჩატარებულა კონკურსი რომელიც რამდენიმე ლოკალურ ერთეულს ერთდროულად ჩართავდა ჰაკათონში. პროექტის ავტორები მივიჩნევთ, რომ ამ პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება საქართველოში ჰაკათონების ჩატარების კულტურას თვისობრივად ახალი, უფრო მაღალი სტანდარტისკენ მისცემს ბიძგს.

უდავოა, რომ საზოგადოებაში დიდი რაოდენობით არის კრეატიული აზროვნებისა და ტექნოლოგიური შემოქმედობითობის ნიჭი როგორც დედაქალაქში, ასევე, რეგიონებში. დღედე არასდროს ჩატარებულა ტექნოლოგიური თემატიკის კონკურსი რომელიც დედაქალაქს და რეგიონებს ერთი კონკურსის ფარგლებში ჩართავს. ამ ტიპის აქტივობა ძალიან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურ სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის და განსაკუთრებით დამწყებთათვის, რადგან მათთვის სოციალური კაპიტალი რომელსაც ჰაკათონებზე და მის მსგავს ღონისძიებებზე უხვად იღებენ, საკვანძო აქტივია.

დაგეგმილი აქტივობები:

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები:

1. გავრცელდება ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიური კონკურსის - ჰაკათონის ჩატარების შესახებ თემაზე ტურიზმის განვითარება.
2. სპეციალურად გამოყოფილ და აღჭურვილ 10 ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი, თბილისი, ახალციხე, ოზურგეთი, თიანეთი, ბაღდათი, ხარაგაული, მესტია) წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე მოეწყობა თანამშრომლობის სივრცეები, ჩატარდება პოტენციური მონაწილეთათვის საინფორმაციო ტრენინგები, კონკურსის მონაწილეები 48 საათის მანძილზე გამოიყენებენ ამ სივრცეს მათ მიერ არჩეული თემაზე ტექნოლოგიური აპლიკაციის შესაქმნელად;
3. ახალგაზრდა მეწარმეები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევარს კომპეტენტური ჟიურის წინაშე პრეზენტაციის სახით;
4. ჟიური გამოავლენს 5 საუკეთესო პროექტს რომლის შესახებაც მოხდება ვიდეორგოლების დამზადება, რგოლები განთავსდება ვებ სივრცეში და მოხდება მათი პოპულარიზაცია, საზოგადოებას ექნება საშუალება გამოხატოს სიმპათია ან დაწეროს შენიშვნები ამა თუ იმ პროექტის შესახებ
5. საზოგადოების მიერ პროექტების შეფასების პროცესების პარალელურად, გამოვლენილი პროექტების განვითარება მოხდება სპეციალურად მოწვეული მენტორების (დარგის მოქმედი პროექსიონალების) უშუალო ჩართულობით.

	6.25 დღის განმავლობაში ჩატარდება პერიოდული საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები, გუნდები მოემზადებიან ფინალური პრეზენტაციისთვის, ფინალური პრეზენტაციის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული გუნდები რომლებიც გაინაწილებენ საპრიზო ფონდს და ერთჯერადად ისარგებლებენ ღონისძიებაში ჩართული ექსპერტების ცოდნითა და უნარებით თავიანთი პროექტის საბოლოო სახის მისაცემად.
მოსალოდნელი შედეგები:	- ყველაზე ცოტა 100 ახალგაზრდა მეწარმის პროფესიული განვითარება; - საზოგადოების სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიური გადაწყვეტილების ჩაყენება, რომელიც ქვეყანაში არსებული გამოწვევებისა და პრობლემათაგან ერთ-ერთის მოგვარებას მოემსახურება; - 5 ახალგაზრდული ბიზნეს კომპანიის დაფუძნება; - საზოგადოებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანი და სარგებლიანი გამოყენების დონის გაზრდა; - თანამედროვე ინოვაციური საქმიანობის წახალისება ახალგაზრდობაში; - განათლების ხარისხის, პროფესიული რეალიზებისა და განვითარების ხელშემწყობი აქტივობისთვის საფუძვლის ჩაყრა; -
ინდიკატორები:	- ჰაკათონის მონაწილეთა რაოდენობა; - ჰაკათონზე შექმნილი მუშა პროტოტიპების რაოდენობა; - ღონისძიებაზე დამსწრეტა რაოდენობა; - კონკურსის ფარგლებში შექმნილი აპლიკაციების საზოგადოების მიერ შეფასების ეტაპზე აქტივობა; - პროექტის მსვლელობაში ჩართული პროფესიონალების რაოდენობა და მათი ღონისძიებაში ეფექტიანი ჩართვა; - შერჩეული პროექტების პროგრესი ფინალური ეტაპისთვის; - კონკურსის შედეგად გამარჯვებული აპლიკაციის იმპლემენტაციის დრო და მისი საზოგადოებრი სარგებლის გენერირების დაწყების დრო;
მონიტორინგი და შეფასება:	მონიტორინგის და შეფასების ფაზები და მექანიზმები პროექტის ეტაპების მიხედვით: 1. ინფორმაციის გავრცელება - მედიასაშუალებებში განთავსებული ინფორმაციის წარდგენა, ელექტრონული მედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის სტატისტიკის წარდგენა; 2. გარემოს მოწყობა - ტექნიკური ინფრასტრუქტურის მიერ გავლილი სტრეს ტესტის ჩანაწერების წარმოდგენა; გარემოს შესაბამისობა ამ განაცხადით წარმოდგენილი სამაგალითო გარემოსთან მიმართებაში; 3. ნამუშევრების წარდგენა - წარდგენაზე დასწრება და გუნდების მომზადების შესასება 4. გამოვლენილი ნამუშევრების პოპულარიზაცია საზოგადოებაში - შექმნილი ვიდეორგოლების ინფრმატიულობის შემოწმება, სოციალური მედიით გაზიარებების სტატისტიკის გაცნობა 5. შერჩეული პროექტების დახვეწა/მომზადება - მენტორების საქმიანობის შესახებ უკუკავშირის გამოკითხვების ჩატარება; მენტორების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე დასწრება. 6. გამარჯვებული იდეის გამოვლენა და იდეის განხორციელება - გამარჯვებული პროექტის შესახებ სოციალური მედია კამპანიის საშუალებით როგორც იდეის ასევე პროექტის იმპლემენტაციის შესახებ საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღება; ფოკუს ჯგუფში შექმნილი აპლიკაციის ტესტირება/უკუკავშირის მიღება;

პროექტის მდგრადობა:	პროექტს შეუძლია მოიტანოს შემდეგი სახის სარგებელი შემდეგი სეგმენტებისთვის: - საქართველოს მოქალაქეების მიერ თავისუფლად გამოყენებადი მობილური აპლიკაცია გაზრდის შიდა ტურიზმის ხარისხს რაც ეკონომიკის დინამიური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, უცხოენოვან აუდიტორიაზე ორიენტირებული აპლიკაციები კი, დაეხმარება ტურიზმს როგორც დარგს განვითარებაში. - კონკურსში მონაწილეთათვის პროექტში მონაწილეობა იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული გამოცდილება მათი პროფესიული განვითარებისთვის. მოსალოდნელია საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 1000 ადამიანისთვის ამ შესაძლებლობის მიცემა. - ღონისძიების ნებისმიერი მონაწილე მიიღებს უმნიშვნელოვანეს კავშირებს თავის ინტერესის სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა მეწარმეებთან. აღიარებულია, რომ სწორად, ასეთი ღონისძიებები საფუძველს უყრიან მომავალში წარმატებულ და სინერგიული მოდელით მომუშავე ბიზნეს-კომპანიებს. - საუკეთესო პროექტების ავტორების კონკურსის შედეგად მიიღებენ ისეთ მარკეტინგულ დოვლათს და გამოცდილებას, რომ გაუმარტივდებათ მათ ინვესტორის მოძიება და ან სარფიანად დასაქმება - კონკურსში გამარჯვებული გუნდი მიიღებს უნიკალურ და ფასდაუდებელ შესაძებლობას გახდეს წარმატებული მეწარმე ინფრმაციული ტექნოლოგიების სფეროში

შემსყიდველი:

მიმწოიდებელი: